



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N12

ქ.ლანჩხუთი

30.06.2017 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქციის, „დამოუკიდებელი“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქციის, „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქციის, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომის ფორმატში საკრებულოს სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადების საფუძველზე. რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილია ის საკითხები,

რომლის გადადება გამოიწვევს მუნიციპალიტეტში მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების ხელშეშლას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით წინა საკრებულოს სხდომაზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. მიმდინარე წლის 28 ივნისს კი გამგეობიდან წარმოდგენილია დამატებით განმარტებითი ბარათი, რომელიც ეხება საქართველოს მთავრობის 22 ივნისის განკარგულების საფუძველზე ბიუჯეტში შესატან ცვლილებას, ასევე წარმოდგენილია 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე განკარგულებაში ცვლილებების შეტანის პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.

მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 22 ივნისის N1280 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 14 მარტის N480 განკარგულებაში შეტანილი ცვლილების შედეგად საგზაო მეურნეობის რეაბილიტაციის მუხლი შემცირდა 18484 ლარით მათ შორის; რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ხარჯზე 11484 ლარი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანადაფინანსების ხარჯზე 7230 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე მიღებული ეკონომია 7230 ლარი მიიმართოს საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვაზე, სხა საქონელი და მომსახურების მუხლში. საქართველოს მთავრობის 22 ივნისის N1280 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 150123 ლარი საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვაზე. მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „სკოლამდელ საგანმანათლებლო -სააღმზრდელო ცენტრში“ შიდა მონაცვლეობით, სუფსიდირების ხარჯზე 11 457 ლარი უნდა მიიმართოს არაფინანსური აქტივების მუხლში, ასევე ა(ა) იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტულ სკოლას“ სუბსიდირების შემცირების ხარჯზე 3400 უნდა მიიმართოს არაფინანსური აქტივების მიმართულებით, რათა განახორციელოს შესაბამისი ოპერაციები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია წარმოდგენილი ცვლილებები აისახოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** მოითხოვა განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტექნიკური ზედამხედველობის რეგიონალური სამსახური იქმნება და როგორ მოხდება ამ მიზნით გამოყოფილი თანხის დახარჯვა.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ აღნიშნული სამსახურის შექმნის აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულება განხორციელდეს უფრო ეფექტურად და ხარისხიანად. მუნიციპალიტეტი გამოაცხადებს ტენდერს, რომელშიც გამარჯვებული კომპანია სრულად აიღებს პასუხისმგებლობას, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების სწორ დაპროექტებაზე, ასევე შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. მუნიციპალიტეტში შექმნილი კომისია, რომელიც იბარებს ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების ხარისხს, გაუქმდება.

დეპუტატ, **გიორგი გოგუაძის** თქმით, მარტივი გასათვლელია, რომ რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტიდან ერთი წლის განმავლობაში აღნიშნული სამსახურის შენახვისთვის უნდა გამოეყო დაახლოებით მილიონი ლარი, რაც მისი მოსაზრებით არ არის მართებული.

გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ დაფინანსება მოხდება ინფრასტრუქტურული პროექტებიდან ეკონომიით მორჩენილი იმ თანხებიდან, რომელიც

ფინანსთა სამინისტროს უკან მიჰქონდა. მისი თქმით, აღნიშნული რეგიონალური სამსახურის შექმნა მუნიციპალიტეტისთვის იმ კუთხითაც იქნება პოზიტიური, რომ შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების ხარისხზე პასუხისმგებლობას მთლიანად აიღებს აღნიშნული სამსახური, რითაც ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესმება მითქმა-მოთქმას, თითქოს მუნიციპალიტეტი უხარისხოდ შესრულებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს იბარებს.

ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარის, **ელგუჯა ჩხაიძის** აზრით, ეს ნიშნავს, რომ ოთხი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური და ის კომისია, რომელიც ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების ხარისხს იბარებდა, ჯეროვნად ვერ ასრულებდა თავის უფლებამოსილებას.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ასეთი სამსახურის შექმნა არ არის წინ გადადგული ნაბიჯი მუნიციპალიტეტისთვის, რადგან ეს ადგილობრივი თვითმართველობების დაკნინებაა, ფუნქციების ჩამორთმევა. გამოდის, რომ ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივ თვითმართველობებს არ ენდობა ან მუნიციპალიტეტების შესაბამის სამსახურებს არ გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია თავად უზრუნველყონ აღნიშნული საქმიანობა. ორთავე შემთხვევაში, ეს არის არასწორი მიმართულება, რომელიც არ შეუწყობს ხელს ადგილობრივი თვითმართველობების განვითარებას. დეპუტატი დიანტერესდა, თუ ახლად შექმნილი სამსახური ისეთ შესრულებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოს ჩაიბარებს, რომლის ხარისხზეც ადგილობრივ ხელისუფლებას პრეტენზია გაუჩნდება, მაშინ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი.

გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ სამუშაოების შესრულების ხარისხს პარალელურად კვლავ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ჩაიბარებს, ახლად შექმნილი სამსახური სრულ პასუხისმგებლობას აიღებს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, რომელსაც თავის მხრივ, კონტროლს გაუწევს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრო.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ ასეთი კომპეტენტური ადამიანებით დაკომპლექტებული სამსახური შეიქმნება, რომელიც გაუწევს ზედამხედველობას ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს პირველ რიგში დაპროექტების დროს, რადგან ყველაზე დიდი წილი ხარვეზები სწორედ ამ დროს ხდება და შესაბამისად, ეს ფაქტი გვიან ვლინდება. ამიტომ, თუ დაპროექტება მაღალკვალიფიციურად განხორციელდება, რისკი ნაკლები იქნება, რომ მაგალითად, გაკეთებული ხიდს წყალი არ წაიღებს და ხელმეორედ არ იქნება გასაკეთებელი.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** მიმართა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, ია

ჩხაიძეს, რომ საკითხზე, რომელიც მისთვის უცხოა და საქმეში არ არის ჩახედული, არ უნდა ისაუბროს. მისი თქმით, იგი ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სატენდერო კომისიას, სადაც საპროექტო სამსახურის თანამშრომლები შესაშური პროფესიონალიზმით და გამოცდილებით ასრულებდნენ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მან გამოხატა თავისი აზრი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რასაც რეალურად ხედავს. მისი თქმით, არანაირი საინჟინრო ცოდნა არ არის აუცილებელი დაინახო ის ხარვეზები, რაც ბევრჯერ გამოვლინდა ინფრასტრუქტურულ პროექტებში. მან მოიყვანა ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გორგასლის ქუჩის მაგალითი, სადაც არასათანადოდ გაკეთდა სანიაღვრე არხი. მიუხედავად ამისა, პროექტი შესაბამის სამსახურს ჩაბარებული აქვს. ასევე, ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე სკვერში უხარისხოდ დაგებული ფილები, რომლებიც რამდენიმე ადგილას თავიდან გაკეთდა. ის დაინტერესდა, თუ დეპუტატ, კახაბერ ასკურავას ხელისუფლებაში ყოფნის დროს ასეთი წარმატებული იყო საპროექტო სამსახური, რატომ მოხდა მათ მიერ ქალაქის ცენტრალურ სკვერში დაგებული ფილების ხელახლა გაკეთება.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ მუშაობის პროცესში მცირე ხარვეზები ნებისმიერ სამსახურის საქმიანობაში შეიძლება გამოვლინდეს, მაგრამ პრეტენზიის მიღება ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის მანძილზე უამრავი პრობლემა დაუტოვა მუნიციპალიტეტს და ზოგადად, ქვეყანას. მათ გამოსწორებასაც მრავალი წელი დასჭირდება.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.

მომხრე: 22 დეპუტატი; წინააღმდეგი 3 დეპუტატი (ელგუჯა ჩხაიძე, კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე) .

მიღებულ იქნა დადგენილება N 21 (30.06. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ**. მან განსახილველად წარმოადგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2017 წლის ინფრასტრუქტურული

პროექტების ნუსხა. მასში გაწერილია დამატებით 744 497 ლარი, რომელიც ინფრასტრუქტურულ პროექტებს უნდა მოხმარდეს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში ხომ შეიძლება შეტანილი ყოფილიყო ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სტადიონის გაკეთება, რასაც იგი უკვე მესამე წელია თითქმის ყველა სხდომაზე ითხოვს, მაგრამ ადმინისტრაციული ხელისუფლების მრავალი დაპირების მიუხედავად, შედეგი არ არის.

გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ ცენტრალური ხელისუფლების დირექტივით, ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება 50000 ლარიდან ზემოთ. აღნიშნული სტადიონის გაკეთებისთვის კი საჭიროა დაახლოებით 25 000 ლარი, რაც ამ ეტაპზე ინფრასტრუქტურულ პროექტით ვერ განხორციელდება. მისი თქმით, როცა გამოცხადდება ტენდერები, ეკონომიით მორჩენილი თანხებით აუცილებლად გაკეთდება ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სტადიონი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** მაღლობა გადაუხადა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, რადგან მათ მიერ მოხდა ძალიან პრიორიტეტული საკითხების წინა პლანზე წამოწევა, რის შედეგად გაკეთდება საჭიდაო დარბაზი, რომელიც მუნიციპალიტეტს კიდევ მრავალ მსოფლიო ჩემპიონს აღუზრდის.

დეპუტატმა, **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში კატასტროფულ ვითარებაშია შიდა გზები, სადაც გადაადგილება ფაქტობრივად შეუძლებელია. პირველ რიგში, უნდა გაკეთდეს სანიაღვრე არხები, ვინაიდან წვიმიან ამინდში მოსახლეობა იტბორება და ამის შემდეგ უნდა მოწესრიგდეს გზის საფარი.

გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მსგავსი პრობლემები ინფრასტრუქტურული პროექტებიდან ვერ მოგვარდება. მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ელოდება სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოყოფილ თანხას, დაახლოებით მილიონ ლარს, საიდანაც მოხდება მსგავსი საკითხების დაფინანსება.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭავჭავაძის ქუჩაზე ჩამოიშალა სანიაღვრე არხი. სამუშაოების შემსრულებელმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მისი თავიდან გაკეთება.

დეპუტატმა, **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულში საბავშვო ბაღის შენობის ერთი კუთხე დაზიანებულია, საიდანაც წვიმიან ამინდში ჩამოდის წყალი. ასევე, გასაკეთებელია შენობის წინა ფასადი და ღობე. მისი თქმით, ასევე აუცილებელი 2 ნაგვის ურნა დაიდგას აცანა-მამათის გზაზე.

გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში სამუშაოების შემსრულებელთან ერთად დაათვალიერებს შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის შენობას და რაც იქნება გასაკეთებელი, უმოკლეს პერიოდში გაკეთდება.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ დუმბაძის ქუჩა შესულია ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხაში, რაც უშუალოდ გამგებლის დამსახურებაა და

ამისთვის მადლობა გადაუხადა მას. მისი თქმით, რაც უფრო მეტი სასიკეთო საქმე გაკეთდება, მით უფრო კარგი იქნება როგორც მუნიციპალიტეტისთვის, ასევე ქვეყნისთვის.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე: 23 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 დეპუტატი: (ელგუჯა ჩხაიძე, კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე) .

მიღებულ იქნა განკარგულება N54 (30.06. 2017 წელი).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე
საკრებულოს ბიურო